პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 231 (3715)

1968 წ. 26 ნოემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## დამაჯერებლად

ევროპული ლიგის მაგიდის ჩოგბურთელთა I ჩემპიონატში გამარჯვებულმა საბჭოთა სპორტსმენებმა II გათამაშებაც იღბლიანად დაიწყეს. გასულ კვირას მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" დარბაზში ისინი შეხვდნენ რუმინეთის ნაკრებს და გაიმარჯვეს „მშრალი" ანგარიშით — 7:0. მიუხედავად ამ დამაჯერებელი ანგარიშისა, ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა ყველა შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს. ზ. რუდნოვამ დაამარცხა ევროპის ექს-ჩემპიონი მ. ალექსანდრუ — 21:16, 21:12. ს. გომოზკოვმა მოუგო რუმინეთის ჩემპიონს დ. ჯურჯუკს — 21:10, 21:13. შერეულ წყვილთა ტურნირში რუდნოვამ და გომოზკოვმა მოუგეს ალექსანდრუს და ჯურჯუკს — 21:17, 21:16.

ევროპული ლიგის ჩემპიონატი ერთობ პოპულარული გახდა. თუ შარშან ამ გათამაშებაში 16 ქვეყანა მონაწილეობდა, ამჯერად პირველობისთვის ბრძოლაში 23 ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთელები ჩაებნენ. ამიტომ საჭირო გახდა გუნდების კლასებად დაყოფა ძალთა თანაფარდობის მიხედვით. უძლიერესთა ჯგუფში მოხვდნენ სსრ კავშირის, შვეციის, გფრ-ის, რუმინეთის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც 1969 წლის აპრილში ჩატარდება, ჩვენი მაგიდის ჩოგბურთელები გ ა მ ა რ თ ა ვ ე ნ „ბრძოლის დაზვერვით" ევროპის უძლიერეს გუნდებთან. გარდა ამისა, ამ ზამთარს საბჭოთა სპორტსმენები ითამაშებენ ინგლისისა და გდრ-ის დიდ საერთაშორისო ტურნირებში, თებერვალში თავად უმასპინძლებენ ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელებს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის წინ — იაპონელებს.

## საკავშირო ზონალური...

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სპორტდარბაზში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საკავშირო ზონალური პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდები, აგრეთვე, მოსკოვის მეორე ნაკრები.

გოგონათა შეჯიბრების ფინალში გავიდნენ დ. მენგასარიანი (სომხეთი) და ვ. ვისოცკაია (აზერბაიჯანი). თამაში თავიდანვე სომეხი სპორტსმენის უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით—21:15, 21:17.

პირველობისთვის 24 ჭაბუკი იბრძოდა. უკრაინელმა რ. ერენტუკმა ფინალში დაამარცხა სომხეთის წარმომადგენელი ო. თოვმასიანი — 21:16, 18:21, 21:13.

გოგონათა გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს სომხეთის სპორტსმენებმა, ხოლო ჭაბუკთა ტურნირში ტოლი არ ჰყავდა აზერბაიჯანის ნაკრებს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ I ადგილზე გავიდნენ სომხეთის სპორტსმენები, II — უკრაინის, III— აზერბაიჯანის წარმომადგენლები. საქართველოს ნაკრები ბოლო ადგილზეა.

ამრიგად, სომხეთისა და უკრაინის ნორჩი სპორტსმენები განაგრძობენ ბრძოლას ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებში გაიმართება კაუნასში.

მ. კარაკოსიანი,
ო. მურვანიძე.

## გადაჭარბებით!

გუშინ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ რედაქციას ტელეფონით აცნობა ამ საზოგადოების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და საბჭოებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებისა და თვითვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. წლეულს განთიადელებს 23 სპორტის ოსტატი უნდა მოემზადებინათ, სადღეისოდ მოამზადეს 31 ოსტატი. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა მომზადება დაგეგმილი არ ყოფილა, ოსტატობის კანდიდატობა კი მოიპოვა 43 კაცმა. 260 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 310, 1880 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 2028, 11224 მესამეთანრიგოსნის ნაცვლად—12024. ჭაბუკთა თანრიგი 1896 ნორჩ სპორტსმენს უნდა შეესრულებინა, შეასრულა ბავშვთა სპორტული და საშეფო სკოლების 1973 აღსაზრდელმა. საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურული საზოგადოებრივი კადრების რიცხვი — 4225 კაცი, ნაცვლად 3314 მსაჯის, ფიზორგისა და ინსტრუქტორისა.

გეგმების და თვითვალდებულებათა განაღდებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს თბილისის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და ჭიათურის ორგანიზაციებმა.

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით ოსტატების, თანრიგოსანი სპორტსმენებისა და საზოგადოებრივი სპორტსმენების მომზადება გრძელდება.

## „ურალმაში" — უმაღლეს ლიგაში

სოჭი. აქ დამთავრდა უმაღლესი ლიგის პრეტენდენტთა ტურნირი, სადაც გათამაშდა ერთადერთი საგზური „ა" კლასის I ჯგუფში გადასასვლელად.

ბოლო დღეს, 23 ოქტომბერს, შედგა 2 დასკვნითი მატჩი. სვერდლოვსკის „ურალმაშს" გამარჯვება ესაჭიროებოდა I ადგილის დასაკავებლად, მაგრამ სვერდლოვსკელებმა ვერ შეძლეს ლვოვის „კარპატის" დამარცხება და დასჯერდნენ ფრეს — 1:1.

შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ომსკის „ირტიში" და ნიკოლაევის „სუდოსტროიტელი". ამ მატჩის შედეგით განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ „სუდოსტროიტელის" ფეხბურთელები, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაში მათ ექნებოდათ დამატებითი შეხვედრის ჩატარების უფლება სვერდლოვსკის „ურალმაშთან". მიუხედავად იმისა, რომ „ირტიში" აგებდა (0:1), მან შეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში და მიაღწია გამარჯვებას — 3:1.

ამრიგად, I ადგილი პრეტენდენტთა ტურნირში დაიკავა სვერდლოვსკის „ურალმაშმა" და ეს გუნდი გაისად სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ითამაშებს უმაღლეს ლიგაში.

## „ფორვერტსი" თბილისში

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებთან ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ამ ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი — ბერლინის „ფორვერტსი".

„ფორვერტსმა" უკვე ითამაშა ამხანაგური მატჩი სსრ კავშირში და ფრედ დაამთავრა შეხვედრა დონეცკის „შახტიორთან" — 0:0.

აღსანიშნავია, რომ ბერლინის „ფორვერტსი" უკვე იმყოფებოდა თბილისში 1954 წელს. მაშინ დინამოელებმა ამ გუნდს მოუგეს ანგარიშით 4:1.

## დიდოსტატთა წარმატება

გორი, 25 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალის VIII ტურში დიდოსტატები კვლავ წინ გავიდნენ.

კარო-კანის დაცვაში მ. ტალმა ი. ჩიქოვანთან საიერიშო პოზიცია ააგო. საკმარისი იყო თბილისელი ოსტატის ერთი უმიზნო სვლა, რომ დიდოსტატის ლაშქარი დაიძრა. ჯერ კუს, შემდეგ ეტლის შეწირვით ტალმა დაამარცხა მეტოქე.

ზ. მიქაძემ თავიდანვე განსაცდელში ჩააგდო ე. გელერი, რომელიც მზად იყო პაიკი დაეთმო. თბილისელმა მოჭადრაკემ მატერიალურ ნადავლს ფიგურების განვითარება ამჯობინა. მალე ცენტრი გაიხსნა და დიდოსტატი ინიციატივას დაეუფლა. მიქაძე ბევრს ფიქრობდა, ცაიტნოტში მოხვდა და დამარცხდა.

დაძაბული იყო ე. გუფელდ — ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონმა წარმატებით გადაჭრა დაცვის პრობლემები რთულ პოზიციაში, მაგრამ სასტიკ ცაიტნოტში აღმოჩნდა. აჩქარებული თამაშის დროს ნონა ზუსტ სვლებს აკეთებდა და შეცდა მაშინ, როცა საკონტროლო სვლები უკვე ნათამაშევი ჰქონდა. ეს შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა. გაფრინდაშვილმა პირველი პარტია წააგო.

შესანიშნავად თამაშობდა ა. ბოკუჩავა სომხეთის ჩემპიონ ლ. გრიგორიანთან. მან ფიგურების შეწირვით საფრთხე შეუქმნა მეტოქის მეფეს. კრიტიკულ მომენტში ბოკუჩავამ უსწოროდ ითამაშა და მოგებული პარტია წააგო.

დაუმთავრებელი დარჩა გ. მუკნიაშვილ — რ. ჯინჯიხაშვილის პარტია.

გუშინ, გადადებული პარტიების დამთავრებისას ბ. გურგენიძემ მოუგო მუკნიაშვილს.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: მ. ტალი — 5,5 ქულა, ე. გელერი, ე. გუფელდი — 5-5, ბ. გურგენიძე — 4,5, ნ. გაფრინდაშვილი — 4.



ჩოხატაურში დამთავრდა მოსავლის აღებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური პირველობა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

ს უ რ ა თ ზ ე: ზუგდიდისა და სამტრედიის ცხენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. გენგიურისა.

* * *

შეჯიბრების ანგარიში გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

## ახალი ამბები

● რიაზანი, 24 ნოემბერი. აქ დაიწყო მშენებლობა ოლქში უდიდესი დახურული სპორტული მანეჟისა, რომლის საერთო ფართობი 4500 კვადრატულ მეტრს უდრის. მანეჟში იქნება 200 მეტრის სიგრძის ორი სარბენი ბილიკი, მოჭიდავეთა და მოკრივეთა სარბიელი. მანეჟის ცენტრალური ნაწილი საჭიროების შემთხვევაში 6 მოედნად შეიძლება იქცეს. მეორე სართულზე მოეწყობა ტანვარჯიშული დარბაზი.

● ბარნაული, 24 ნოემბერი. აქ დაიწყო სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვებისთვის იბრძვიან შეიარაღებული ძალების, „დინამოს", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „კოლმეურნის", „შრომითი რეზერვების", „ტრუდის" და სხვა კოლექტივები. I ჯგუფში VIII-X ადგილებზე გასული კოლექტივები გაისად II ჯგუფში იასპარეზებენ, სამაგიეროდ, მათ ადგილს დაიკავებენ II ჯგუფში უძლიერესნი.

● ლიპეცკი, 25 ნოემბერი. „დინამოს" სპორტის ახალ სასახლეში დამთავრდა საკავშირო პირველობა სამბოში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ხ. რუზიკულოვი (ტაშკენტი), ნ. კოზიცკი (კიევი), ო. სტეპანოვი, დ. რუდმანი და ა. ციუპაჩენკო (ყველა — მოსკოვი), ა. ბონდარენკო (კიევი), ა. იუდინი და ვ. კუზნეცოვი (ორივე — მოსკოვი). ყველაზე მეტი საპრიზო ადგილების მოპოვებისთვის გარდამავალი თასები მოიპოვეს მოსკოვისა და საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა.

● ტალინი, 24 ნოემბერი. აქ დამთავრდა ტრადიციული პრიზის — „ვანა ტოომასის" გათამაშება ფრენბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ტალინის „კალევი", ქვეყნის ექს-ჩემპიონი ცსკა, პოლონეთის პირველობის პრიზიორი ვარშავის „ლეგია" და „ა" კლასის დებიუტანტი ლუგანსკის „ზარია". ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ორსაათნახევრიანი დაძაბული ბრძოლა „კალევმა" მოიგო „ლეგიასთან" — 3:2.

● ბერლინი, 24 ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონ ე. ლასკერის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები დ. ბრონშტეინი და ა. სუეტინი, რომლებსაც 4,5-4,5 ქულა აქვთ. მესამე საბჭოთა დიდოსტატი ე. ვასიუკოვი უნგრელ ი. ჩომთან ერთად 4 ქულით III-IV ადგილებს იყოფს.

● მინსკი, 24 ნოემბერი. მოეწყო სატელევიზიო მატჩი მოსკოვის, კიევისა და მინსკის აკრობატთა ნაკრებ გუნდებს შორის, მოსკოვისა და მინსკის გუნდებმა ქულების თანაბარი რაოდენობა (85,5) დააგროვეს, მაგრამ უპირატესობა მინსკელებს მიენიჭათ, რადგან მათ ერთი უმაღლესი შეფასება (10 ქულა) ჰქონდათ.

● მოსკოვი, 24 ნოემბერი. ჰოკეისტთა II საერთაშორისო ტურნირი, რომელიც აქ 1-დან 7 დეკემბრამდე უნდა გაიმართოს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იქნება. სსრ კავშირი ამ ტურნირში ჩაებმება ორი ნაკრებით და თვითეულ გუნდში 22 ჰოკეისტი შევა. როგორც წარსულ წლებში, პირველ ნაკრებს ახლაც ა. ჩერნიშოვი და ა. ტარასოვი ავარჯიშებენ. ისინი იქნებიან მეორე და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საერთო ხელმძღვანელებიც.

● მოსკოვი, 24 ნოემბერი. აქ დაიწყო ლენინგრადისა და მოსკოვის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩი 80 დაფაზე. ლენინგრადელ მოჭადრაკეებს პირველ ტურში ანგარიში მიჰყავთ 14,5:13,5. საეჭვოა, რომ გადადებული პარტიების დამთავრებამ რაიმე სახარბიელო შედეგი მოუტანოს მოსკოვის სპორტსმენებს. საინტერესოა, რომ პირველ დაფაზე მსოფლიო ექს-ჩემპიონ ვ. სმისლოვისა და ლენინგრადელ მ. ტაიმანოვის შეხვედრაში უპირატესობა თავდაპირველად სმისლოვის მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგ სმისლოვმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და ახლა გადადებულ პოზიციაში უნდა დამარცხდეს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაბიჯი უკან

— რატომ გამოვიდნენ ჩვენი კალათბურთელები ასე ცუდად?

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ბევრჯერ მოგვიხდა. მართლაც, რატომ გამოვიდნენ კალათბურთელები მეხიკოში ასე ცუდად? ან იქნებ არც ისე საგანგაშო შედეგია III საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედლები? ყველაფერს გულდასმითი ანალიზი სჭირდება, განვლილი დღეების გახსენება, მათი ხელახალი, უფრო ფხიზელი და დამშვიდებული თვალით შეფასება.

მსოფლიო ჩემპიონისთვის III საპრიზო ადგილი შეუფერებელია. ოთხგზის ოლიმპიური ვერცხლის მედალოსნისთვის III ადგილი უდავოდ უკან გადადგმული ნაბიჯია.

— მაშ, გამოდის, რომ ჩვენი კალათბურთელები ცუდად გამოსულან მეხიკოში?

— გამოდის.

— კი მაგრამ, შეეძლოთ უკეთ გამოსვლა? — იბადება თავისთავად ახალი შეკითხვა.

— რა თქმა უნდა, შეეძლოთ. მეტსაც გეტყვით, ჩვენი ნაკრები მეხიკოში უდავოდ მეორე გუნდი იყო, იუგოსლავიის გუნდზე ბევრად ძლიერი, დიახ, ბევრად.

— მაშ რაღა მოუვიდა?

—ისეთი არაფერი. ჩვენებს ათიდან მხოლოდ ერთი მატჩის წაგების უფლება ჰქონდათ იუგოსლავიელებთან. სამწუხაროდ, ოლიმპიადას ხწორედ ეს ერთი მატჩი დაემთხვა.

დიახ, მეხიკოში სსრ კავშირის ნაკრებმა ჰელსინკთან, მელბურნთან, რომთან და ტოკიოსთან შედარებით ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ერთადერთმა გულდასაწყვეტმა მარცხმა ჩვენი გუნდი მესამე ადგილზე გადაისროლა, ხოლო იუგოსლაველები, ორი წაგების მიუხედავად, ვერცხლის საფეხურზე დააყენა.

და მაინც, არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ზოგიერთი ჩვენი კალათბურთელის, პირველ ყოვლისა კი ზ. საკანდელიძისა და ს. კოვალენკოს მონდომება, თავგანწირვა. საბჭოთა სპორტსმენებმა ყველა შეხვედრა ღირსეულად ჩაატარეს და სპეციალისტთა, სპორტის მოყვარულთა საერთო მოწონება დაიმსახურეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ზ. საკანდელიძის შეუდარებელი ოსტატობა ოლიმპიადის მასპინძლებთან შეხვედრაში და მისი თავგანწირული, ცეცხლოვანი თამაში ბრაზილიელებთან.





# დაუსწრებელი ბრძოლის ფინალი

შოთა ლომიძემ მეხიკოში 6 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ბოლო, მეექვსე ბრძოლის შემდეგ გაირკვა პრიზიორთა გვარები ქვემძიმე წონაში. ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ა. აიკი (თურქეთი), 2. შ. ლომიძე (სსრ კავშირი), 3. ი. ჩატარი (უნგრეთი), 4. ს. მუსტაფოვი (ბულგარეთი), 5. კ. ბაიანმუნხი (მონღოლეთი), 6. ი. ლევისი (აშშ). აი, როგორია ტექნიკური ამონაწერი საბჭოთა ფალავნის გამოსვლებიდან: I წრე. ლომიძე — კილი (გფრ) 0,5:3,5; II წრე. ლომიძე — ჩატარი (უნგრეთი) 1:8; III წრე. ლომიძე — ფილბი (ირანი) 1:3; IV წრე. ლომიძე ისვენებდა; V წრე. ლომიძე — მუსტაფოვი 2,5:2,5; VI წრე. ლომიძე — ბაინმუნხი (მონღოლეთი) 1:3; VII წრე. ლომიძე — აიკი (თურქეთი) 2:2.

საბჭოთა ფალავანი და თურქი აიკი ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე გამარჯვების მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ. ეს იყო ალბათ ერთადერთი შემთხვევა, როცა სპეციალისტები ყოველგვარი რისკისა და შიშის გარეშე ასახელებდნენ გამარჯვებულთა გვარებს და ამასთან, პრიორიტეტს არც ერთს არ ანიჭებდნენ.

ამ მოსაზრების რეალობას სპორტსმენებიც გრძნობდნენ და მუდამ მოჯადოებულივით შეჰყურებდნენ ერთმანეთის ჭიდილს. ეს იყო უაღრესად დაძაბული, დაუსწრებელი ჭიდილი ორ ღირსეულ მეტოქეს შორის, რომელსაც ბოლო ფინალურ შერკინებამდე (ცხადი იყო, რომ ფინალს სწორედ ლომიძე და აიკი გაითამაშებდნენ) მეტწილად ფსიქოლოგიური ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ დაუსწრებელ ბრძოლაში თავდაპირველად ლიდერობა ხელთ იგდო ლომიძემ, რადგან პირველი ბრძოლა თურქმა ქულებით მოიგო. მეორე წრეში აიკი თავისუფალი იყო, მესამეში კი იგი ამერიკელთან ფრეს დასჯერდა. 0,5 ქულა ლომიძის სასარგებლოდ უცვლელი დარჩა მეოთხე წრის შემდეგაც.

მერე კი დაწინაურდა თურქი. ოქროს მედლისთვის გადამწყვეტი გამოდგა მეხუთე წრის ბრძოლა აიკსა და ფიზიკურად მეტად ძლიერ მონღოლ ბაიანმუნხს შორის. სავსებით მშვიდ, „უკონფლიქტო" სიტუაციაში ბაიანმუნხი უცებ მონუსხულივით დაასკდა ხალიჩას. რა იყო ეს? შოკი თუ უსიტყვო კაპიტულაცია? აიკს თეორიულად ამ „უძნელეს" ბრძოლაში წმინდა მოგების ფიქსირება დასჭირდა მხოლოდ. ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვპარვია ეჭვი, რომ ეს იყო ძალზე ცუდად დადგმული „სპექტაკლი", მაგრამ დრამატული ღირებულების მიუხედავად, ამ სპექტაკლმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვემძიმე წონის ათლეტთა ჭიდილში. ახლა უკვე დაწინაურდა აიკი, რომელმაც ნახევარქულიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და საჩუქრად ოქროს მედალიც მიიღო.

თურქისა და საბჭოთა ფალავნის ორთაბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფრედ დამთავრდა. ფრე ხელს აძლევდა აიკს, ამიტომ იგი ზომაზე მეტად პასიურობდა. ლომიძეს სჭირდებოდა მხოლოდ გამარჯვება და ისიც პირველიდან ბოლო წუთამდე. იგი უტევდა, დასდევდა მეტოქეს, ცდილობდა ბრძოლის გუნებაზე დაეყენებინა. მაგრამ აიკი ჭიდაობაში ახალბედა არ არის და მსაჯების თვალის ახვევა არ გასჭირვებია, მით უმეტეს, რომ არბიტრები მუდამ მზად იყვნენ არ დაენახათ ის, რისი დანახვაც არ სურდათ.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ასეთი იყო შოთა ლომიძე მეხიკოში — მშვიდი და პირმოცინარი თავისუფალ დროს, ვეფხვივით სწრაფი და დაუნდობელი ბრძოლაში.









XIX
...
შესახებ
...ოგენ
...იალური
...ენტები
...ლი და
...ანი.





...ე: ზ. საკანდელი-
...ვალენკო თამაშის



# პიროგას გადააჭარბა

ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა ოლიმპიურ ტურნირში 28 ათლეტი ასპარეზობდა. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს იაპონელმა და საბჭოთა ძალოსნებმა:

| | აჭიმვა | ატაცი | აკვრა | სამჭიდი |
|---|---|---|---|---|
| 1. ი. მიაკე (იაპონია) | 122,5 | 117,5 | 152,5 | 392,5 |
| 2. დ. შანიძე (სსრ კავშირი) | 120,0 | 117,5 | 150,0 | 387,5 |
| 3. ი. მიაკე (იაპონია) | 122,5 | 115,0 | 147,5 | 385,0 |

სექტემბრის პირველ რიცხვებში ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ინგლისელმა ო. სტეიტმა ბულგარეთის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტთან საუბარში დაასახელა ოლიმპიადის სავარაუდო ჩემპიონთა და პრიზიორთა გვარები. მაშინ გენერალურმა მდივანმა არ იცოდა ვინ დაიცავდა სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას ქვემსუბუქ წონაში. და მაინც, ერთ-ერთი საპრიზო ადგილი მან საბჭოთა ძალოსანს დაუთმო.

როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ინგლისელს თავისი საქმე სცოდნია. ჩვენ არ გვეეჭვება, რომ სტეიტი ძალოსნობის ჩინებული სპეციალისტია, მაგრამ ამ შემთხვევაში ცოდნაზე მეტი სამსახური მას ინტუიციამ გაუწია. დიახ, მან გუმანით იგრძნო, რომ საბჭოთა კავშირმა ბოლოსდაბოლოს იპოვნა ღირსეული კანდიდატი ქვემსუბუქ წონაში, თორემ წინასწარ განაცხადს საერთაშორისო ფედერაციას არ გაუგზავნიდა.

ჩვენმა მწვრთნელებმა მეხიკოში ამ წონას უფრო მოკრძალებული როლი გამოუყვეს. IV ადგილი — ეს იყო მაქსიმუმი, რასაც მოითხოვდნენ ასეთი დიდი ტურნირისთვის ახალბედა · დიმიტრი შანიძისგან. მაგრამ ახალბედას საკმაოდ კარგი მადა აღმოაჩნდა და იგი თავიდანვე თამამად ჩაება ამა ქვეყნის ძლიერთა დავაში.

დიმიტრი შანიძის წარმატება დღეს საყოველთაო ფაქტია, რომელზეც ბევრი დაიწერა და ითქვა. დიმიტრიმ დაგვიბრუნა ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა ძალოსნების კარგი სახელი, რომელსაც ჩვენი სახელოვანი თანამემამულის რაფაელ ჩიმიშკიანის სპორტიდან წასვლის შემდეგ დიდხანს ჩრდილი ადგა.

მედალიც არის და მედალიც. შანიძის „ვერცხლი" მით უფრო ძვირფასია და სასახელო, რომ იგი სოლივით შეიჭრა იაპონელთა უძლეველ დუეტში. დასაწყისში კი ჩვენს თანამემამულეს არც ისე სახარბიელოდ ჰქონდა საქმე. აჭიმვაში ძმების მიაკეების გარდა მას მექსიკელმა მათეოსმაც გაუსწრო. ატაცის შემდეგ დიმიტრიმ IV ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა. ეს ადგილი მან აკვრაშიც შეინარჩუნა და საბოლოო ჯამში ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დიმიტრიმ სინანულით გაგვანდო: „395 კილოგრამისთვის ვიყავი მზად". სპორტსმენის გულისტკივილი გასაგებია, მაგრამ მან ხომ ამოცანა პირნათლად შეასრულა!

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: დიმიტრი შანიძე მეხიკოს ოლიმპიურ ფიცარნაგზე.

● კიევი, 24 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის II ტურში ყაიმით დამთავრდა პომერანეც — ანდრეიკოს, აგაფონოვ— გულიაევის, სოლნიხოვ — განტვარგის, შჩოგოლევ — დავიდოვის და ოგოროდნიკოვ — გურვიჩის პარტიები. კაპლანმა წააგო ფედორუკთან, მანშინმა — სლობოდსკოისთან. ტურის სენსაცია იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ კუპერმანის წაგება ლენინგრადელ მოგილიანსკისთან. ორი ტურის შემდეგ მოგილიანსკის 2 ქულა აქვს.

● მოსკოვი, 24 ნოემბერი. აქ დაიწყო იუგოსლავიისა და რსფსრ-ს უსინათლო მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩი. საინტერესოა, რომ იუგოსლაველი მოჭადრაკეები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები არიან. საბჭოთა მოჭადრაკეებმა 1968 წლის გუნდურ ჩემპიონატში პირველად მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს. მათ იუგოსლაველები 2 ქულით ჩამოიტოვეს. მაშინ ჩემპიონებისა და ვიცე-ჩემპიონების შეხვედრა ფრედ (2:2) დამთავრდა. ამჯერად გუნდში 6 მოჭადრაკე შედის. ჯერჯერობით ანგარიშია 2,5:0,5 სტუმრების სასარგებლოდ.

● კალკუტა, 24 ნოემბერი. აქ სტუმრად იმყოფებიან მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელები. ისინი ინდოეთის გუნდებთან გამართავენ 7 ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას. პირველი ასეთი მატჩი მინსკელებმა უკვე ჩაატარეს კალკუტაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

## უკანასკნელი საათი...

◆ მალიორკა (ესპანეთი), 25 ნოემბერი. მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირის I ტურში ყაიმით დამთავრდა პეტროსიან—კორჩნოის, სპასკი—მატანოვიჩის (იუგოსლავია), ვიზიე — მედინას (ორივე — ესპანეთი), ლემან (გფრ) — ტორანის (ესპანეთი), ბენკო (აშშ) — ივკოვის (იუგოსლავია) და გლიგორიჩ (იუგოსლავია) — გეორგიუს (რუმინეთი) შეხვედრები.

◆ კიევი, 25 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატზე 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ სლობადსკოი და მოგილიანსკი.

◆ ბაქო, 25 ნოემბერი. რუსულ შაშში სსრ კავშირის პირველობაზე 11 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო აბაციევმა — 7,5 ქულა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან გაბრიელიანი და კუსტარიოვი.

◆ ზაგრები, 25 ნოემბერი. აქ დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის VI გათამაშება წყალბურთში, რომელიც იუგოსლავიური გაზეთის „სპორტის“ მიერაა დაწესებული. მოსკოვის დინამოელებმა თავიანთ ჯგუფში 3 შეხვედრა მოიგეს, ხოლო ერთი წააგეს და გათამაშების შემდეგ წრეში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

◆ ლონდონი, 25 ნოემბერი. აქ სტარტი აიღო გიგანტურმა საავტომობილო რალიმ მარშრუტით ლონდონი — სიდნეი. შორეულ გზას გაუდგა ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, ინდოეთის, აშშ-ს, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების 98 ეკიპაჟი. მონაწილეთა შორის არის 10 საბჭოთა სპორტსმენი, რომლებიც 4 „მოსკვიჩით“ ასპარეზობენ.

# ფინალური ტურნირი დამთავრდა

## ● გაიმარჯვა გორის „დილამ“ ●

გორი. ქალაქის სტადიონი. 24 ნოემბერი.

„დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1 (0:0).

„დილა“: თბილელაშვილი, ნასყიდაშვილი, კობიაშვილი, გლავაცკი, კოზინი, მარლიშვილი, ჯორბენაძე, გელდიაშვილი, კაპანაძე, ბურჯანაძე, ივანოვი (გრძელიშვილი).

„მეტალურგი“: ჩლაიძე, ნასარიძე, აფციაური, შომახია, ლორთქიფანიძე, გემეზაშვილი (რეხვიაშვილი), ხინჩიკაშვილი, გვენცაძე, ჭანტურია (დანელია), კონიაშვილი, მეტრეველი.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირის დასკვნით დღეს შედგა კალენდრით გათვალისწინებული 2 მატჩი: „მერცხალი“ (მახარაძე) — „გურია“ (ლანჩხუთი), „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).

და მოხდა ისე, რომ მთელმა ტურნირმა თავის კულმინაციურ წერტილს სწორედ გათამაშების ამ ბოლო მატჩისთვის მიაღწია. ყველა სხვა ვარიანტი გამორიცხული იყო: უნდა გაემარჯვა ან „დილას“ ან „მეტალურგს“. დანარჩენები მხოლოდ მომდევნო ადგილების მოდავეთა როლში გამოდიოდნენ.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა ორივე გუნდი ამ გადამწყვეტ შეხვედრას, რა მონდომებით და ძალების მობილიზებით იბრძოდა I ადგილის მოპოვებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სხვა ფინალური ტურნირის გამარჯვებულთან შეხვედრის უფლებისთვის. ორივე მეტოქემ აჩვენა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა თავის არსენალში.

მოწინააღმდეგეთა ტაქტიკური ჩანაფიქრი ნათელი შეიქნა დასაწყისიდანვე. „მეტალურგმა“ იცოდა, რომ გორელი ფეხბურთელები უკვე დებიუტშივე გადაისროდნენ მთელ თავიანთ ძალებს შეტევაში და თავიდანვე გაამაგრეს უკანა ხაზები მოსალოდნელი მძიმე ბრძოლისთვის, ხოლო ფორვარდები — სწრაფი კონტრიერიშებისთვის. ეს ასეც მოხდა, მაგრამ „დილის“ მძლავრმა იერიშებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გუნდს ერთიანად, თითქმის მთელი შემადგენლობით მიჰყავდა შეტევა, ამასთან ეს ხდებოდა არა „შიშველი ენთუზიაზმის“ ხარჯზე, არამედ მოფიქრებულად, დიდ სისწრაფეზე, ყველა საფეხბურთო კანონის დაცვით. კაპანაძე, ბურჯანაძე და ივანოვი მოქმედებდნენ მინდვრის მთელ სიგრძეზე, რათა მოპირდაპირე მცველები აეძულებინათ ეთამაშათ გაშლილად, ვრცელ ტერიტორიაზე, ხოლო მათ შორის დარჩენილი სიცარიელეები გამოეყენებინათ აქტიური ნახევარმცველების — ჯორბენაძისა და გელდიაშვილის საასპარეზოდ. ამიტომ იყო, რომ გელდიაშვილს რამდენიმე შესაძლებლობა მიეცა საჯარიმო მოედნის ფარგლებიდან შეესრულებინა ძლიერი, დამიზნებული დარტყმები კარში. მეკარე ჩლაიძეს მოსვენება არა ჰქონდა მთელი ტაიმის განმავლობაში და გუნდი მას უნდა უმადლოდეს თავისი კარის უხიფათოდ გადარჩენას ამ პერიოდში.

„დილა“ აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. 20 წუთი გავიდა ისე, რომ რუსთაველებმა ერთხელაც ვერ შეძლეს მეტოქის საჯარიმო მოედანზე შესვლა, მაგრამ როგორც კი მოგერიებულ იქნა ეს ხანგრძლივი შეტევები, „მეტალურგმა“ თავდასხმაში გაითამაშა კომბინაცია, წამით მარტო დარჩა ჭანტურია, რომლის ზუსტი დარტყმა ძლივს მოიგერია თბილელაშვილმა. წუთის შემდეგ თბილელაშვილი კვლავ ჩაება თამაშში კონიაშვილის სახიფათო გარღვევის მოსაგერიებლად.

ტაიმის დასასრულს სტუმრებმა საგრძნობლად გაათანაბრეს თამაში. მართალია, საერთო უპირატესობა ისევ გორელებს ჰქონდათ, „მეტალურგის“ ფორვარდებმა შეძლეს იმ სწრაფ კონტრშეტევათა განხორციელება, რომელიც მათ დაგეგმილი ჰქონდათ. მე-10 წუთზე ისევ კონიაშვილი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ხოლო სულ მცირე ხნის შემდეგ რუსთაველთა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა გვენცაძის მოულოდნელი, ზუსტი დარტყმით — 1:0.

შეტევა და... დამარცხება. ასეთ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა „დილა“. მიუხედავად ამისა, გუნდი განაგრძობდა ადრინდელი გეგმით თამაშს, ისევ გაჰყავდა იერიშზე თავდამსხმელებთან ერთად ნახევარმცველები. 75-ე წუთზე ეს მანევრი, როგორც იქნა, გოლით დამთავრდა: გელდიაშვილი ისევ გავიდა თავისუფალ ადგილზე და ძლიერად დაარტყა კარის დაბალ მარჯვენა კუთხეში — 1:1.

ზუსტად ერთი წუთის შემდეგ „მეტალურგს“ ხელმეორედ შეეძლო დაწინაურებულიყო, როცა კონიაშვილი ერთი-ერთზე გავიდა მეკარე თბილელაშვილთან. მაგრამ ბოლო მომენტში საუკეთესოდ ითამაშა კობიაშვილმა და კუთხურზე გაგზავნა ბურთი.

ეს იყო რუსთაველთა ბოლო შანსი. მატჩის დასასრულისთვის თამაში ისევ მასპინძლებს მიჰყავდათ, კაპანაძეს მინდვრის სიღრმიდან მისცეს ბურთი, იგი დრიბლინგით გავიდა მცველებს შორის და გოლით დაამთავრა თავისი გარღვევა — 2:1.

გორის „დილამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა და პირველნი, ვინც მათ მიულოცა ეს წარმატება იქვე, მინდორზე, რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელები იყვნენ.

ახლა გორის „დილას“ (უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, მწვრთნელი გ. გაბუნია) გადამწყვეტი მატჩი აქვს ეჩმიაძინის „არაქსთან“ რომელმაც „ბ“ კლასის პარალელურ ფინალურ ჯგუფში მოიპოვა I ადგილი. ეს თამაში 28 ნოემბერს გაიმართება ნეიტრალურ მინდორზე — კისლოვოდსკში.

• • •

ასევე საინტერესო, უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი მახარაძის „მერცხალსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. „გურიამ“ დიდი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარა მთელი ტაიმი, თუმცა ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა. უფრო შედეგიანი აღმოჩნდა მახარაძელთა კონტრშეტევები და მარცხენა გარემარბმა სიხარულიძემ გაიტანა პირველი გოლი.

შემდგომში ლანჩხუთელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მაგრამ ისევ დაკარგეს რამდენიმე კარგი მომენტი, 83-ე წუთზე კი კოშკელოვის გარღვევა მეორე გოლით დამთავრდა „გურიის“ კარში — 2:1.

* * *

ტურნირებში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები ცალკეულ საუკეთესო მოთამაშეთათვის. საუკეთესო მეკარედ მიჩნეულ იქნა თ. ჩლაიძე („მეტალურგი“, რუსთავი), მცველად — ე. დოლიძე („მერცხალი“, მახარაძე), ნახევარმცველად — ბ. ჯორბენაძე („დილა“, გორი), თავდამსხმელად — გ. შავდია („გურია“, ლანჩხუთი).

ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).




### ცხრა სერიის შემდეგ

უკანასკნელი, მეათე სერიის წინ ჩვენ კონკურსს ჰყავს ორი ლიდერი. ესენი არიან გ. კაკაურიძე და გ. ხარაზიშვილი (ორივე — თბილისი). მათ დაგროვილი აქვთ 88 ქულა თვითეულს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ ცხრა სერიის ჯამში დააგროვეს:

87 ქულა — ა. ბესიაშვილი, თ. ლებანიძე, გ. ლორთქიფანიძე, ბ. ტაბიძე, გ. ჩეკურიშვილი, ფ. ჯანყარაშვილი (ყველანი — თბილისი).

86 ქულა — ა. ტაკიძე, ჯ. ხუციბერიძე (ორივე — თბილისი), ე. ჯიჯიაშვილი (გარდაბნის რ. სოფ. შინდისი).

85 ქულა — გ. ახალაძე, ნ. ელერდაშვილი, გ. კვაჭაძე, ი. პაროშინი (ყველანი — თბილისი).

84 ქულა — ნ. ბაქრაძე, ჯ. ბაშელეიშვილი, მ. ზაქარაია, ჯ. მარკარიანი, კ. ოდიკაძე, თ. ღვინეფაძე, ჯ. ძაგანია (ყველანი — თბილისი).

83 ქულა — ი. და ლ. ადამაშვილები, ნ. მასტიაშვილი, გ. ჯაფარიძე (ყველანი — თბილისი), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), დ. ჩიკვაშვილი, დ. ჯანაშვილი (ორივე — ქუთაისი).

82 ქულა — გ. ახრახაძე (თბილისი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი).

81 ქულა — გ. ბასილაშვილი (თბილისი), ი. ბუზიაშვილი (ქუთაისი).

80 ქულა — თ. სიხარულიძე, გ. ხახიაური (ორივე — თბილისი), თ. ალფაიძე, მ. სოფრომაძე (ორივე — ქუთაისი).

79 ქულა — შ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო), გ. მელქაძე (სამტრედია), ჯ. მჭედლიშვილი (თბილისი).

78 ქულა — ბ. ბასილაია (ფოთი), მ. მამისთვალოვი (თბილისი), დ. ფაჩუაშვილი, ე. ხიშტოვანი (ორივე — ქუთაისი).

74 ქულა — მ. ჯავახაძე (ქუთაისი).

73 ქულა — ჯ. ფირცხალაიშვილი (ზესტაფონი).

72 ქულა — გ. აბურჯანია (ფოთი), რ. სეფიაშვილი (ქუთაისი).

ვაქვეყნებთ უკანასკნელი, მეათე სერიის კითხვებს:

## მეათე სერია

1. დაასახელეთ რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რომელმაც შვიდი წლის შემდეგ ისევ რომში, სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მოიპოვა ოქროს მედალი. რომელი ქვეყნის წარმომადგენელია და რა სახეობაში გამოდიოდა იგი?
2. საფეხბურთო მატჩში ინგლისისა და ფიფა-ს ნაკრებ გუნდებს შორის ერთ-ერთმა იუგოსლაველმა ინგლისელთა კარში სამი გოლი გაიტანა. ვინ იყო ეს ფეხბურთელი, როდის შედგა აღნიშნული შეხვედრა და რა ანგარიშით დამთავრდა?
3. რომელ ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა პირველი საბჭოთა ოლიმპიური საფოსტო ნიშნები და რომელ წელს იქნა ეს ნიშნები გამოშვებული?
4. რომელი ქვეყნის ქალები გამოდიან მარათონულ რბენაში ვაჟებთან ერთად და მათგან ვის აქვს ყველაზე უკეთესი შედეგი მძლეოსნობის ამ რთულ სახეობაში?
5. ზამთრის რომელ ოლიმპიურ თამაშებში იღებდნენ სტარტს მოციგურავენი არა ცალკე წყვილებად, არამედ ჯგუფებად? რა მიზეზით იყო გამოწვეული ეს?
6. დაასახელეთ სპორტსმენი, რომელიც მხოლოდ ხუთჯერ გამოვიდა ოლიმპიურ სტარტზე და ხუთივეჯერ ოქროს მედალი დაისაკუთრა. ამასთან, მისი ხუთივე გამოსვლა ოლიმპიური რეკორდებით აღინიშნა.
7. რას უდრის და ვის ეკუთვნის წყლის სიღრმეში ყვინთვის მსოფლიო რეკორდი?
8. დაასახელეთ ორი სპორტსმენი, რომელთაც ერთსადაიმავე ოლიმპიურ თამაშებში მოიხვეჭეს ოქროს მედლები, ერთსადაიმავე ცდაზე მიაღწიეს გადამწყვეტ უპირატესობას მეტოქის წინააღმდეგ. ორივე სპორტსმენის გამოსვლა აღინიშნა ოლიმპიური რეკორდით და პირველებმა ორივეს ერთი და იგივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიულოცეს გამარჯვება. რაც მთავარია, ამ სპორტსმენებმა შემდეგ იქვე, ოლიმპიურ სოფელში იქორწინეს. რომელ სახეობაში გამოდიოდნენ ისინი და რომელი ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ?
9. ევროპის რომელმა ქვეყანამ იზეიმა შარშან ეროვნული სპორტის 100 წლისთავი?
10. ციგურაობის რომელმა ოფიციალურმა მსოფლიო რეკორდმა იარსება ყველაზე დიდხანს?

მეათე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 6 დეკემბერი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი), ხოლო ამავე სერიის პასუხები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება 12 დეკემბერს.

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი—68“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

КАЛАТБУРТИ — კალათბურთი. სპორტის სასახლე. 1-2 დეკემბერი. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). დასაწყისი 20 ს.

სასტენდო სროლა. ასკ-ის სასროლეთი. 30 ნოემბერი-1 დეკემბერი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა შორის. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 . საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8

უე 11115